საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №133

2025 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ 2017 წლის 9 იანვრის №02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის №02 ბრძანებით (ვებგვერდი, 11/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 120170050.22.026.016454) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და **მე-3 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელმა – დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.“;

ბ) 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთათვის და უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელთათვის საკვალიფიკაციო ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების პერიოდულობა განისაზღვრება აკადემიის მეთაურის მიერ წელიწადში არანაკლებ ორჯერ (სასწავლო სემესტრის მიხედვით).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 13 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**